დამტკიცებულია:
აკადემიური საბჭოს მიერ
დადგენილება #MES 3 24 0000550804
(21/05/2024)

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება არეგულირებს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის/პროგრამების შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და საქმიანობის წესს, დოქტორანტურაში მიღების წესს, დოქტორანტთა მხარდამჭერის სერვისებს, დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელებას, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისა და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კვალიფიკაციასა და ძირითად ფუნქციებს/მოვალეობებს, სადისერტაციო ნაშრომის დამტკიცების, შესრულების, დაცვისა და შეფასების წესს, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელ პროცედურას, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების, მატერიალური რესურსის, შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სადოქტორო ჩარჩო დოკუმენტის“, სხვა ნორმატიული აქტებისა და სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

მუხლი 2. დოქტორანტურა

2.1. დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;
2.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
2.3.დოქტორანტი - პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
2.4 დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება;

2.5 უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ხორციელდება:

- **ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა** - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე;
- **საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა** - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე;
- **ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა** - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე;
- **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა** - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და საქართველოს ე.ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სამცხე-ჯვახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ე.ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას შორის გააფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე;
- **Astronomy Joint Doctoral Programme** of LEPL Samtskhe-Javakheti State University and LEPL E. Kharadze National Astrophysical Observatory - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე;
- **ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა** - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე;
- **ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა** - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე;
- **აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა** - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

2.6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი:

2.6.1. სადოქტორო პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის, სადოქტორო პროგრამის მიმართულების/დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სადოქტორო პროგრამას შეიძლება ასევე უხელმძღვანელოს დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოწვეულმა პირმა. (ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომელი) ასეთ შემთხვევაში, მოწვეული პირის გარდა, სადოქტორო პროგრამას, ასევე უნდა უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებულმა პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა.

2.6.2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი შესაბამისი დარგის სპეციალისტები, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და დოქტორანტები (არსებობის შემთხვევაში); ასევე უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას;

2.6.3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით;

2.6.4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარის მუშაობაში, პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების მონიტორინგი და სხვა;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი, არსებობის შემთხვევაში, ასევე სამეცნიერო პერსონალი.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;
- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და

საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უნივერსიტეტს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო-კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

2.7. დოქტორანტურისა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები:

ა) უნივერსიტეტში სწავლების, სწავლისა და კვლევის ინტეგრირება;

ბ) აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და თავისუფლებაზე დაფუძნებული ცოდნის საფუძველზე (რომელიც დემოკრატიულ აკადემიურ საზოგადოებაში ხორციელდება) მოამზადოს კადრები და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას თავისუფალ საერთაშორისო აკადემიურ/სამეცნიერო სივრცეში.
გ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით.
დ) სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
ე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას;
ვ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
ზ) სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით-კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

მუხლი 3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება

3.1. უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს:

- **ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამაზე:**

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ და კვალიფიკაცია მიღებული აქვს შემდეგ დეტალურ სფეროებში

0111 განათლების მეცნიერება (0114.1.1 საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლება ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი განათლების მიმართულებით);
0231 ენის დაუფლება;
0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა;
0288 ინტერდისციპლინური (0288.1.2 ციფრული ჰუმანიტარია);

- **ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე:**

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის სპეციალობით მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი არქეოლოგიის ან ეთნოლოგიის სპეციალობებში.

- **ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე:**

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან

გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისგან/განსხვავებულ სპეციალობებში.

- **ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი):**

მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ასტრონომიის, ასტროფიზიკის, ფიზიკის ან მათემატიკის სპეციალობით კურსდამთავრებულებს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

- **აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე**:

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ აგრონომიის, აგროეკოლოგიისა და ეკოლოგიის სპეციალობებში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს. აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აგრონომიის მიმართულებისგან განსხვავებულ სპეციალობებში.

- **ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამზე**

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ვეტერინარიის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის „უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება“ შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს ვეტერინარიის მიმართულებით უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

- **ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე**

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, მათემატიკის ან ფიზიკის სპეციალობებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს. აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ინფორმატიკის მიმართულებისაგან განსხვავებულ სპეციალობებში.

3.2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

3.3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს პირს მობილობის (შიდა და გარე მობილობა) წესით. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს მხოლოდ ვეტერინარიის საბაზო განათლების მქონე პირს.

მუხლი 4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღების წინაპირობები საჯაროა ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური/ტექნიკური რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის

გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით; უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;

• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე; ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე.

4.1. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კანდიდატს რომელსაც გავლილი აქვს ინგლისური ან დასავლეთ ევროპულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა, გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება). გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე.

4.2. დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც სურს უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოეთხოვება ქართული (გარდა ინგლისურენოვანი პროგრამისა) ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია, წარმოადგინოს ქართული ენის B2 და ინგლისური ენის B1 (თუ ადასტურებს ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე) ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 65

points); IELTS (at least 5.5 points); FCE), ან ქართული/ინგლისური/დასავლეთ ევროპული საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ/ინგლისურ/დასავლეთ ევროპულ ენაში (გამოცდა ჩატარდება „ქართულის/ინგლისურის/დასავლეთ ევროპულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად). ქართულ/ინგლისურ/დასავლეთ ევროპულ ენაში გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს გამოცდით გათვალისწინებულ აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური/ქართული/დასავლეთ ევროპული ენის/ენების გამოცდაში/გამოცდებში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.

4.3. სადოქტორო პროგრამის წინაპირობის მიხედვით შეიძლება დადგენილ იქნას დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პროცედურა

5.1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის. მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისია, განიხილავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობისთვის.

5.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

5.3. დოქტორანტობის კანდიდატი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე წარადგენს განაცხადს (შევსებულ სააპლიკაციო ფორმას, სადოქტორო პროგრამის მითითებით), რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) ავტობიოგრაფია (CV);

ბ) მაგისტრის დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დოკუმენტი; უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების შემთხვევაში სსიპ განათლებლის ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი.

გ) სადოქტორო კვლევითი განაცხადი;

დ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ე) ერთი ფოტოსურათი (3X4) ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

ვ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;

ზ) ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნის არანაკლებ B1 დონეზე დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 65 points); IELTS (at least 5.5 points); FCE) ან ინგლისური/დასავლეთ ევროპული საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ან ჩააბაროს გამოცდა ინგლისურ/დასავლეთ ევროპულ ენაში (გამოცდა ჩატარდება „ინგლისურის/დასავლეთ ევროპულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხოენოვანი კანდიდატები ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად ადასტურებენ ქართული ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე; ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე - ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე.

თ) კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს ქართული/უცხო ენის გამოცდის ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

ი) ქართული/ინგლისური/დასავლეთ ევროპული ენის გამოცდაში/გამოცდებში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.

5.4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. ფაკულტეტის საბჭო მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას.

5.5. თანაბარქულებიანი კონკურსანტების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული გამოცდილება, კვლევითი ინტერესი პროგრამის მიერ გამოცხადებული პრიორიტეტის შესაბამისად და სხვა დოკუმენტები (საგრანტო პროექტები, სერტიფიკატები, სიგელები და ა.შ.). დოქტორანტობის კანდიდატს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შედეგების შეფასებები.

5.6. უნივერსიტეტის რექტორი, დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, ჩარიცხვიდან არა უმეტეს სამი თვის ვადაში ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ადგენს ინდივიდუალურ გეგმას (სადოქტორო პროგრამის შესაბამისად), რომელიც დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგის და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ასევე დოქტორანტის აკადემიურ გამოცდილებაზე.

5.7. სადისერტაციო ნაშრომის და ინდივიდუალური გეგმის შესრულებას ხელმძღვანელობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

5.8. სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის (შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა, გარდაცვალება და ა.შ.) შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია, დოქტორანტს დაუნიშნოს სხვა ხელმძღვანელი.

მუხლი 6. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

6.1. უნივერსიტეტი დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში აღნიშნულ სადოქტორო პროგრამებზე.

6.2. სადოქტორო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წელი, მოიცავს სასწავლო კომპონენტს - არაუმეტეს 60 კრედიტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტს. დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

6.2.1 **სასწავლო კომპონენტი:**

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ დახელოვნებას. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი აკადემიური და კვლევითი საქმიანობისათვის. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს.

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;

6.2.2 სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი:

სადოქტორო დისერტაციის მომზადება, დოქტორანტის შეფასება და დაცვა

სადოქტორო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის დაგეგმვას, შესრულებასა და დაცვას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;

სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს წინ უსწრებს კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები, რომელიც დოქტორანტს ეხმარება შესაბამისი მიმართულებით კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს ასრულებს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. სამეცნიერო ხელმძღვანელთან განხილვისა და შეთანხმების შემდეგ, ყოველი სემესტრის ბოლოს

წარადგენს ანგარიშს ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;

დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

ნაშრომი დასრულებულად ითვლება, თუ კვლევის მიზანი მიღწეულია, ასახულია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებული შედეგები. ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით და წვლილი უნდა შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობითა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და შესაბამისად მისი წარმოდგენის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს საჭიროების შემთხვევაში.

დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ დადგენილი წესით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;

6.3 კრედიტების აღიარება

6.3.1 საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსის/კურსების, პროფესორის ასისტენტობის, სემინარის) კრედიტების აღიარება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

7.1. დოქტორანტისათვის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად;

7.2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება სტატუსი შეუწყდეს:

- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- უნივერსიტეტს, სამეცნიერო ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას.
- სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობისას;
- აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობისას.

დოქტორანტს, რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ/აკადემიურ რეგისტრაციას, უჩერდება დოქტორანტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას, არ ეთვლება შესაბამისი სემესტრი გავლილად.

დოქტორანტის სტატუსის შეჩერების სხვა საფუძვლები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შესაბამისი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 8. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო და მისი ფუნქციები

8.1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - „სადისერტაციო საბჭო“) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

8.2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელი ფაკულტეტების საბჭოების წარდგინების საფუძველზე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

8.3. სადისერტაციო საბჭო შედგება ამ დებულების 2.3 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი დარგის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან. სადისერტაციო საბჭოს წევრები შეირჩევიან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.

8. 4. **სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა:**

8.4.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს პირველ სხდომაზე 5 წლის ვადით;

8.4.2. სადისერტაციო საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც ირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს პირველ სხდომაზე 5 წლის ვადით;

8.5 სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები:

8.5.1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისიის წარდგინებით ქმნის დარგობრივ კოლეგიას.

8.5.2. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

8.5.3. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხმას.

8.5.4. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ.

8.5.5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს, სულ მცირე, სამი წევრის წინადადებით.

8. 6. სადისერტაციო საბჭო

- ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს;

- ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მდივანს;
- ამტკიცებს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემას და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს;
- ამტკიცებს დოქტორანტის ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას;
- გადაწყვეტილებას იღებს დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხზე;
- გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების საკითხზე.
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას;
- ამტკიცებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.
- ახორციელებს აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

8.7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

- იწვევს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
- ორგანიზებას უწევს საბჭოს გადაწყვეტილების მიღებას;
- მეთვალყურეობას უწევს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას;
- ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას;

8.7.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს შეიძლება ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში:

- პირადი განცხადების საფუძველზე;
- სადისერტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თუ საბჭოს თავმჯდომარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;
- მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში; გარდაცვალების შემთხვევაში.

8.8. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

- სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს შემადგენლობიდან ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
- მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:
- აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს, უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
- ხელმძღვანელობს საბჭოს არქივსა და საქმის წარმოებას;
- კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

8.8.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანს შეიძლება ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში:

- პირადი განცხადების საფუძველზე;

- სადისერტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თუ საბჭოს მდივანი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;
- მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში;
- გარდაცვალების შემთხვევაში.

მუხლი 9. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია

9.1. ფაკულტეტის საბჭოს მიერ იქმნება სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია/კომისიები (შემდეგში - კომისია). რომელსაც ფაკულტეტის საბჭო გადასცემს თავის უფლებამოსილებებს დოქტორანტურის საკითხების მომზადების, განხილვის ნაწილში.
9.2. კომისია იქმნება ფაკულტეტზე მოქმედი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაძლებელია მომიჯნავე დარგების სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შეიქმნას ერთი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედის/შედიან პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, დარგის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტი.
9.3. ასტრონომიის მიმართულების კომისიაში შეიძლება შევიდეს ასევე, საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერ თანამშრომლები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შედის ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს წევრები.
9.4. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი აირჩევა 5 წლის ვადით კომისიის მიერ ღია კენჭისყრით. კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი.
9.5. კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას უძღვება თავმჯდომრის მოადგილე.
9.6. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში სხდომის მოწვევა შესაძლებელია ფაკულტეტის საბჭოს წევრების, სულ მცირე, 1/3- ის ან ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნით.
9.7. კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 10. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის ფუნქციები

10.1. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია:

ა) განიხილავს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ კონკრეტული დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების კანდიდატებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

ბ) განიხილავს სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტის ჩარიცხვიდან არაუმეტეს ორი თვის განმავლობაში დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

გ) განიხილავს სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ისა დაკავშირებულ საკითხებს, დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

დ) განიხილავს სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

ე) უზრუნველყოფს ღონისძიებების გატარებას დისერტაციის დაცვის პროცესისთვის მსვლელობის მისაცემად;

ვ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციების საფუძველზე შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებსა და დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

ზ) ცნობად იღებს ინფორმაციას დარგობრივი კოლეგიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის, აგრეთვე დაცვის თარიღის შესახებ, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

თ) აწარმოებს ფაკულტეტზე სადოქტორო სწავლებასა და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

ი) ამოწმებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომთან ერთად წარდგენილ დოკუმენტაციას;

კ) რეცენზენტებს გასაცნობად აწვდის სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს;

ლ) დარგობრივი კოლეგიის წევრებს გასაცნობად აწვდის სადისერტაციო ნაშრომს და რეცენზენტების დასკვნებს, აგრეთვე გააცნობს დისერტაციის დაცვის რეგლამენტს (პროცედურებს) და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

მუხლი 11. დარგობრივი კოლეგია:

11.1. დარგობრივი კოლეგია შედგება მინიმუმ ხუთი წევრისაგან (ზოგადად, კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით). სამეცნიერო ხელმძღვანელი და რეცენზენტები კოლეგიაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით;

11.2. დარგობრივ კოლეგიას ხელმძღვანელობს კოლეგიის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს კოლეგია ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით.

11.3. კოლეგიის თავმჯდომარის წარდგინებით დარგობრივი კოლეგია ირჩევს მდივანს.

11.4. დარგობრივი კოლეგიის წევრებად არჩეულ უნდა იქნენ შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეული იქნეს სხვა უნივერსიტეტის ან სამეცნიერო დაწესებულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, მეცნიერ-თანამშრომელი, ასევე დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

11.5. აგრონომიის სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3 უნდა დაკომპლექტდეს ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრებით.

11.6. დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დარგობრივი კოლეგიის მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი; სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;

მუხლი 12. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტს ხელმძღვანელით. ამასთან, დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა, თვითონ აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო (შენიშვნა: სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე ჯამურად აქტიური სტატუსის მქონე 5 სტუდენტის ხელმძღვანელობა). უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი პროგრამის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასევე სხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე (ასტრონომიის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომელი) ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი. ხელმძღვანელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს თანახელმძღვანელიც (ასტრონომიის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი მაინც უნდა უნდა იყოს უნივერსიტეტიდან ან ობსერვატორიიდან);

12.1. სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის და პრობლემატიკის შესაბამისი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი ან/და პროფესიული გამოცდილება, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს

სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას;

12.2. სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (preer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას, კვლევის სფეროს;

12.3. დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, ფართო და მჭიდრო კავშირი (ერთობლივი კვლევები / გრანტები / პროექტები / სამეცნიერო ასოციაციები / კავშირები / საგანმანათლებლო / სამეცნიერო დაწესებულებები);

12.4. თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/მიმართულებას;

12.5. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

12.6. სამეცნიერო ხელმძღვანელი ზედამხედველობას უწევს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური გეგმის შესრულებას, ხელს უწყობს დოქტორანტს საკვლევი თემის დამოუკიდებლად დამუშავებაში; საქმიანობის ეფექტურ განხორციელებასა და დოქტორანტის მიერ ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების რაოდენობა შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას.

12.7. უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;

12.8. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/სადისერტაცი წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად (Peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;

12.9. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

12.10. უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს უცხოეთის რომელიმე საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კვლევითი დაწესებულების შესაბამისი სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი ან/და აკადემიური თანამდებობის პირი.

12.11. უცხოელ ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სფეროს დოქტორანტის ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის ან სადისერტაციო თემის ირგვლივ

გარკვეული გამოცდილება, რაც დასტურდება მისი ხელმძღვანელობით დაცული სადისერტაციო ნაშრომებით ან კვლევებით, სამეცნიერო პუბლიკაციებით და სხვ

12.12. უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება მოწვეული იქნეს უნივერსიტეტის მიერ, ფაკულტეტის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დოქტორანტის საშუალებით მემორანდუმების, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, პროგრამის შემუშავების პროცესში საუკეთესო უცხოური გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესწავლის პერიოდში და სხვ.

12.13. დოქტორანტის დასაბუთებული განცხადებით დასაშვებია დისერტაციის თემისა და/ან ხელმძღვანელის შეცვლა დოქტორანტურაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე. დისერტაციის თემის შეცვლის, ან სათაურის დაზუსტებისთვის დამატებით აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასაბუთება;

12.14. დოქტორანტისთვის სამეცნიერო თემის და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო;

12.15. დოქტორანტის განმავითარებელ პერიოდულ შეფასებას ახდენს სამეცნიერო ხელმძღვანელი (გაწერილის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში).

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომი

13.1. დისერტაცია, ანუ სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი წერს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის შედეგს, უნდა ახასიათებდეს სიახლე და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი დარგის განვითარებაში და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- შესრულებულ იქნას ქართულ (ინგლისურ) ენაზე.
- სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა ქართული ფილოლოგიისა და საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამებზე, 150–250 გვერდი; ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე - 120-180; ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე 100 -110 გვერდი; ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე არანაკლებ 120 გვერდი, აგრონომის სადოქტორო პროგრამაზე 120-250 გვერდი, ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე 150-250 გვერდი.
- მოიცავდეს: შესავალს და დასკვნას (არა უმეტეს მოცულობის 1/3-სა) და კვლევით ნაწილს (არა ნარეკლებ მოცულობის 2/3-სა), ასევე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს;
- წარმოდგენილი იქნას sylfaen-ის 12 ზომის შრიფტით, სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ, მარჯვნიდან 1,5 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ;
- სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

➢ თავფურცელი - სადისერტაციო ნაშრომის პირველი გვერდი; (თავფურცელი უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად. თავფურცლის ზემო ნაწილში მიეთითება უნივერსიტეტის სრული დასახელება: ,,სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი'', ფაკულტეტი (შრიფტი: sylfaen 12, Bold), პროგრამის დასახელება (შრიფტი: sylfaen 12, Bold), შემდეგ სტუდენტის სახელი და გვარი

(შრიფტი: sylfaen 16, Bold), შუა ნაწილში სადისერტაციო ნაშრომი, სამეცნიერო თემის სრული სათაური (შრიფტი: sylfaen 18, Bold), სათაურის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტი: sylfaen 14, Bold), თავფურცლის ქვედა ნაწილში აღინიშნება დაცვის ადგილი (ახალციხე) და დაცვის დრო (წელი) (შრიფტი: sylfaen 12, Bold).

- სარჩევი - (ანოტაცია, შესავალი, ნაშრომის თავები და პარაგრაფები.) გვერდების მითითებით;
- ანოტაცია - მოკლედ და გასაგებად უნდა ასახავდეს სადისერტაციო ნაშრომის თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის საგანსა და ობიქტს, ძირითად შედეგებსა და სიახლეს. ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. ანოტაცია უნდა იყოს დაწერილი ქართულ ენაზე და თარგმნილი ინგლისურ ენაზე. ანოტაციის ინგლისურენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს ავტორის ინიციალებს, გვარს, თემის დასახელებას. ანოტაცია ერთ გვერდზე უნდა იყოს განთავსებული და წარდგენილი თავფურცელის მომდევნო ფურცელზე. **სადოქტორო ნაშრომის <u>აბსტრაქტი/რეზიუმე</u> ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;**
- შესავალი – სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები); კვლევის შედეგები.
- ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად;
- დასკვნა - წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც კონკრეტულად პასუხობს ყველა იმ ამოცანას, რომელიც დოქტორანტს გააქვს საჯარო დაცვაზე.
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილი უნდა იქნეს სადისერტაციო ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას ტექსტობრივი მითითების სტილი (იხილეთ სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გზამკვლევი ტექსტობრივი მითითების სტილი).

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა

14.1. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ დასკვნას წარმოადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელი. საერთო შეფასებასთან ერთად დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ სადისერტაციო ნაშრომს შეიძლება მიეცეს მსვლელობა. სამეცნიერო ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში მისი შუამდგომლობით სადისერტაციო ნაშრომი და სადისერტაციო მაცნე წინასწარი განხილვისთვის გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი სადისერტაციო ნაშრომს გადასცემს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ინივერსიტეტში პლაგიატის დამდგენ კომისიას. პლაგიატის არსებობის შემთხვევაში ნაშრომს აღარ მიეცემა მსვლელობა, არარსებობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ნაშრომს თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით წინასწარი დასკვნისათვის გადასცემს შესაბამისი დარგის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს. პროგრამის

ხელმძღვანელს სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის შეუძლია შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მოწვევა. წარმოდგენილ დასკვნაში სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს: სადისერტაციო ნაშრომის თემის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, კვლევის მეთოდოლოგიას, დისერტანტის როლს დარგის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის საქმეში. გარდა აღნიშნულისა, წინასწარი დასკვნის ავტორმა დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის შედეგად უნდა მიუთითოს, რამდენადაა ასახული ამ სამეცნიერო ნაშრომებში დისერტაციის ძირითადი შინაარსი და დასკვნები. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომის განხილვა მოაწყოს ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

14.2. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა ხდება ფაკულტეტის (ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში ფაკულტეტისა და ობსერვატორიის გაერთიანებულ საბჭოს - მთავარი და უფროსი მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით) სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები. სხდომას უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი. სხდომაზე ოქმის შესადგენად ირჩევენ მდივანს. სხდომას გადამწყვეტი ხმის უფლებით ესწრებიან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, დარგის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტები. დოქტორანტს სხდომამდე სამი დღით ადრე მაინც უნდა გადაეცეს მის სადისერტაციო ნაშრომზე წარმოდგენილი წინასწარი დასკვნა. სხდომაზე ისმენენ დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნას, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის დანიშნული სპეციალისტის დასკვნას, ასევე დისერტანტის პასუხს დასკვნებში გამოთქმულ შენიშვნებზე. განხილვის შედეგად სხდომაზე იღებენ დადგენილებას სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მიზანშეწონილად არ ჩაითვალა სადისერტაციო ნაშრომისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემა, სადისერტაციო ნაშრომი უბრუნდება დისერტანტს გამოთქმული შენიშვნების გასათვალისწინებლად. სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის მეორედ განხილვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ 2 თვის შემდეგ. წინასწარი განხილვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ პროგრამის ხელმძღვანელი და მდივანი.

მუხლი 15. დისერტაციის დაცვისათვის მომზადება

15.1. დისერტაციის დასაცავად სადისერტაციო საბჭოს წარედგინება შემდეგი მასალები და საბუთები:

ა) სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების შესახებ დოქტორანტის მიერ შევსებული ფორმა, დადასტურებული სამეცნიერო ხელმძღვანელის და დამტკიცებული ფაკულტეტის მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისიის მიერ;

ბ) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის დამდგენი კომისიის დასკვნა;

გ) სადისერტაციო მაცნე (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ელექტრონული და ბეჭდური სახით 50-60 გვერდი სადისერტაციო მაცნე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ ნაშრომის ზოგადი დახასიათება;
- ✓ საკვლევი თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა;
- ✓ კვლევის მიზანი და ამოცანა;
- ✓ კვლევის მეთოდოლოგია და საკვლევი მასალა/ობიექტი;
- ✓ მეცნიერული სიახლე;
- ✓ ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა;
- ✓ წინასწარი განხილვის ოქმის რეკვიზიტები;
- ❖ ნაშრომის მოკლე შინაარსი;
- ❖ დასკვნები;
- ❖ სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებული სტატიების ნუსხა;

დ) დისერტაციის ელექტრონული და ოთხი აკინძული ეგზემპლარი;

ე) დოქტორანტის ხელმძღვანელის დასაბუთებული დასკვნა;

ვ) დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთა შორის აუცილებელია ერთი სტატია მაინც გამოქვეყნებული იყოს (ან მიღებული იყოს დასაბეჭდად) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (ERIH PLUS, Scopus, EBSCOHost, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Ulrich's Index, Latindex Catalogue...).

სამეცნიერო პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი; (გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების წარდგენისას აუცილებელია წარმოდგენილი იქნას პერიოდიკის ყდის, შინაარსის და თავად ავტორის მიერ დაწერილი სტატიის ქსეროასლი; სამეცნიერო სტატიის ინტერნეტ გამოცემის ფორმატში წარდგენისას აუცილებელია მითითებული იქნას ინტერნეტ გამოცემის მისამართი, ინტერნეტ გამოცემის პირველი გვერდის, სარჩევისა და თვითონ სტატიის ამონაბეჭდი). საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებული ნუსხის გარდა საქართველოსა და უცხოეთში გამომავალ სხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების აღიარების საკითხს სადისერტაციო საბჭო განიხილავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

15.2. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც:

ა) დოქტორანტს ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

ბ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას;

გ) უცხოურ ენაზე თარგმნილი დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30–45 გვერდი) უკუკავშირისთვის/შეფასებისთვის გაგზავნა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს სადისერტაციო საბჭო;

დ) მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში/სიმპოზიუმში/კონგრესში.

ე) სტატიის გამოქვეყნება (ან მიღება დასაბეჭდად) რეცენზირებად/რეფერირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით, საერთაშორისო ნუსხით (მაგ:.ERIH PLUS, Scopus, EBSCOHost, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Ulrich's Index, Latindex Catalogue...) ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში; სადოქტორო პროგრამით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

15.3. დოქტორანტის მიერ ფაკულტეტის მუდმივმოქმედ სადისერტაციო დარგობრივ კომისიში ყველა სავალდებულო საბუთის ჩაბარების შემდეგ, ერთი თვის ვადაში ხდება საბუთების გადამოწმება და შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში დოქტორანტისთვის მათ გამოსასწორებლად შესაბამისი გონივრული (მაქსიმუმ ერთ თვემდე) ვადის მიცემა. საბუთების სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ფაკულტეტის მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წარდგინებით ნიშნავს ორ/სამ რეცენზენტს, რომელთა შორის ერთი მაინც უნდა იყოს უნივერსიტეტიდან.

15.4. სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;

15.5. ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

15.6. საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

15.7. უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა (რეცენზიის

გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/ თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობას) რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;

15.8. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის ა) რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან ბ) რეკომედაციას დაცვაზე პირობითი დაშვების შესახებ, რაც გულისხმობს დოქყორანტისთვის ნაშრომის უკან დაბრუნების, დროის მიცემას და უხეში შეცდომების შესწორების შემდეგ, დაცვაზე დაშვრებას ან/და გ) დაცვაზე უარის თქმის შესახებ, რაც ასახული იქნება რეცენზენტის დასკვნაში.

რეცენზენტის დასკვნაში უნდა აისახოს:

ა. სადოქტორო თემის აქტუალურობა;

ბ. კვლევის მეცნიერული დონე;

გ. გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);

დ. მიღებული შედეგების სანდოობა;

ე. დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.

შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი თავის დასკვნაში ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;

ბ. დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომის სახელწოდება _____

დოქტორანტის სახელი, გვარი _____

დისერტაციის რეცენზენტის უწყისი

N	შეფასების სახე	შეფასების მონიშვნა	დისერტაციის შესწორების მიზანშეწონილი ვადის მითითება)ეხება მე-2 შეფასებას)	შენიშვნა
1.	ა)რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ			
2.	ბ) რეკომედაციას დაცვაზე პირობითი დაშვების შესახებ,			

	რაც გულისხმობს დოქტორანტისთვის ნაშრომის უკან დაბრუნების, დროის მიცემას და უხეში შეცდომების შესწორების შემდეგ, დაცვაზე დაშვრბას			
3.	გ) დაცვაზე უარის თქმის შესახებ			

თარიღი:
ხელმოწერა:

15.9. დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვება ხდება შემფასებელთა (რეცენზენტთა) დასკვნების საფუძველზე.
15.10. ორი შემფასებლიდან ერთი რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს დამატებით შემფასებელს.
15.11. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭო დანიშნავს მესამე რეცენზენტს.
15.12. თუ ორივე რეცენზენტი ითხოვს ნაშრომის დოქტორანტისთვის დაბრუნებას გადასამუშავებლად, დაცვაზე ნაშრომი არ დაიშვება და უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად გონივრული ვადით და დოქტორანტი ვალდებულია, თავიდან წარუდგინოს გადამუშავებული ნაშრომი რეცენზენტებს, დოქტორანტს ნაშრომი გადასამუშავებლად გადაეცემა ერთჯერადად; გადამუშავებული ვარიანტის შეფასება რეცენზენტების მიერ ხდება მხოლოდ ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების რეკომენდაციით.
15.13. რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. დამატებითი რეცენზენტის დანიშვნის შემთხვევაში ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 2 თვე.
15.14. რეცენზენტის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების ან მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის დაბრუნების, ან საჯარო დაცვაზე უარის შესახებ.
15.15. დისერტაცია თუ არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე არ დაიშვება;

15.16. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დისერტანტის ნაშრომი არ მიიღება საჯარო დაცვაზე წარსადგენად.
15.17. სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს გადასცემს რეცენზენტთა დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღს. დოქტორანტს უნდა მიეცეს მაქსიმუმ 1 თვის ვადა დაცვისთვის მოსამზადებლად.
15.18. თუ დოქტორანტს უარი ეთქვა საჯარო დაცვაზე, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს. დანარჩენი დოკუმენტები დაუბრუნდება დოქტორანტს.

მუხლი 16. დისერტაციის დაცვა

16.1. დარგობრივ კოლეგიას ხელმძღვანელობს ამავე კოლეგიის მიერ ღია კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე.
16.2. დარგობრივი კოლეგია ღია კენჭისყრით ირჩევს მდივანს, რომელიც აწარმოებს სხდომის ოქმს.
16.3. დარგობრივი კოლეგიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ დარგობრივი კოლეგიის თავმჯდომარე და მდივანი.
16.4. დისერტაციის დაცვა მიმდინარეობს საჯაროდ, დარგობრივი კოლეგიის წინაშე, თუ სხდომას ესწრება კოლეგიის წევრთა ნახევარზე მეტი (5 წევრის შემთხვევაში ყველა წევრი) შემდეგი პროცედურით:
16.5. დარგობრივი კოლეგიის თავმჯდომარე დარგობრივ კოლეგიას წარუდგენს დისერტანტს (5-10 წუთი);
16.6. დისერტანტი წარმოადგენს თავისი კვლევის ძირითად შედეგებს (20 - 30 წთ.);
16.7. დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს თავის მოსაზრებებს დისერტაციასა და დისერტანტზე (10-15 წუთი);
16.8. რეცენზენტები წარმოადგენენ შენიშვნებს და მოსაზრებებს (10-15 წუთი თითოეულს); იმართება კამათი და განიხილება რეცენზენტების შენიშვნები და მოსაზრებები. დისერტანტს ეძლევა საშუალება, უპასუხოს შენიშვნებს (30 წუთი);
16.9. დისერტაციის დაცვა შესაძლებელია ერთი რეცენზენტის საპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში რეცენზენტის მიერ გადამოგზავნილ დასკვნას გააცნობს დარგობრივი კოლეგიის მდივანი.
16.10. დარგობრივი კოლეგიის დახურული სხდომის დროს კოლეგია არსებული კრიტერიუმებით (რომელსაც ადგენს სადისერტაციო საბჭო) აფასებს დოქტორანტს.
16.11. დისერტაციის დასკვნითი შეფასებისათვის დარგობრივი კოლეგია იყენებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემას:

ა) ფრიადი (summa cum laude) შესანიშნავი ნაშრომი
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

უსდ-ში მოქმედი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების ზემოთ აღნიშნული სისტემა შესაძლებელია შეესაბამოს ქულობრივ მაჩვენებლებს.

16.12. დისერტაცია დაცულად ითვლება ამ მუხლის 16.12 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში.
16.13. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარმოდგენილი დისერტაცია უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
16.14. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
16.15. დარგობრივი კოლეგია სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ოქმს შეფასებიდან 7 დღის ვადაში, მანამდე უნდა ინახებოდეს სადისერტაციო საბჭოს მდივანთან და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.
16.16. დისერტაციის წარმატებით დაცვის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე.
16.17. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება; ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის ხელმეორედ წარდგენის უფლებას.
16.18. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს შესაბამისი დიპლომი.
16.19. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. დისერტაციის ერთი ბეჭდური და ელექტრონული ვერსია უნდა გადაეცეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ასევე, დისერტაციის ელექტრონული ვერსია უნდა გადაეცეს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

17.1. დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად.

17.2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო დარგობრივი კოლეგიის შეფასების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ამტკიცებს დარგობრივი კოლეგიის ოქმს (შეფასებას) და ანიჭებს დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს.

17.3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის დარგობრივი კოლეგიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში კოლეგიის წევრი), რომელიც საბჭოს წარუდგენს დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციას და დისერტაციის ერთ ეგზემპლარს.

17.4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ღია.

17.5. სადისერტაციო საბჭო დარგობრივი კოლეგიის ოქმის (შეფასების) დამტკიცებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ვალდებულია უარის წერილობითი დასაბუთება წარმოადგინოს მომდევნო სხდომაზე.

17.6. სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის დაცვის პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმი სადისერტაციო სხდომის მასალებთან ერთად, ასევე სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ინახება სადისერტაციო საბჭოს სამდივნოში.

17.7. მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე <u>(აღნიშნული ვალდებულება უსდ-ს წარმოეშობა ერთიანი ეროვნული ელექტრონული პორტალის ამოქმედების შემდგომ).</u>

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

18.1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა 6 თვის ვადაში დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ.

18.2. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დიპლომის დანართში აისახება ობსერვატორია).

18.3. დიპლომზე უნდა მიეთითოს:

ა) წარწერა „საქართველო“, რომელიც უნდა განთავსდეს დიპლომის ზედა ცენტრალურ ადგილზე;
ბ) დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითების გარეშე);
გ) დაწესებულების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ) „დოქტორის დიპლომი“;
ე) დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);
ვ) აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოს სახელწოდება;
ზ) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
თ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც მიენიჭა კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი;
ი) მინიჭებული აკადემიური ხარისხი;
კ) ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა,
ლ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა;
ლ) დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა;
მ) ადგილი, სადაც გაიცა დიპლომი;
ნ) დიპლომის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
ო) დაწესებულების ბეჭედი;
პ) დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი დიპლომებისა და დუბლიკატების ერთიან რეესტრში.
18.4. დოქტორის დიპლომში ამ მუხლის 18.3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა დამატებით მიეთითება სადისერტაციო ნაშრომის სათაური.
18.5. დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

მუხლი 19. ამოღებულია

მუხლი 20. გასაჩივრების პროცედურა

20.1. დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემა, დოქტორანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, განიხილება საქართველოს მოქმედი კანონდებლობისა და უნივერსიტეტრის შიდა რეგულაციების შესაბამისად.
20.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვის შედეგების, ასევე დოქტორანტთა სადოქტორო ნაშრომის რეცენზირებისა და საბოლოო შეფასების შედეგების გასაჩივრება. გასაჩივრების წესები წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისთვის; გასაჩივრების პროცედურები უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 21. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება

21.1. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ მექანიზმებს, მათ შორის დოქტორანტის დაფინანსების წყაროებს.
21.2. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (pre-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისათვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინანსებას.
21.3 დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით. დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტით სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 83, პუნქტი 3.).
21.4 უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას.
21.5. უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

მუხლი 22. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება
22.1. განსაზღვრულ სფეროში განსაკუთრებული სამეცნიერო დამსახურების მქონე პირს შეიძლება მიენიჭოს საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება.

22.2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას, უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე, იღებს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 23. მატერიალური რესურსი
23.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
23.2. დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა

ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;

23.3. უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;

23.4. უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

მუხლი 24. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა

2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები

უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;

უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.

უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;

უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ-კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;

უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;

უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

24. ხარისხის უზრუნველყოფა

24.1. შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა

24.1.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

24.1.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

24.1.3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;

24.1.4. სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (დოქტორანტი, კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).

მუხლი 25. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

25.1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

25.2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

შეტანილია ცვლილებები:

აკადემიური საბჭოს დადგენილებით #1565706 (05/12/2024)